



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 7  
28/02/2017

7-03-4-201702281628



დადგენილება №7  
28 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის  
დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2014 წლის 1 სექტემბრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის  
კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის  
და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის  
შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**და ა დ გ ი ნ ა :**

**მუხლი 1.** „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული  
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის N14 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge),  
09/09/2014, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.171.016014) დამტკიცებულ დებულებაში  
შეტანილ იქნეს ცვლილებები, კერძოდ:

1. დებულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მერიის ადმინისტრაციული სამსახური (ტექსტში შემდგომ - სამსახური) არის  
მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მერიის სამსახურების

საქმისწარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მერიის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას; ადამიანური რესურსების მართვას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

2. დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს.
3. დებულების მე-4 მუხლის „ჟ“, „რ“, „ს“, „ტ“, „უ“ და „ფ“ პუნქტები ამოღებული იქნეს.
4. დებულების მე-7 მუხლის „ე“ და „ზ“ პუნქტები ამოღებული იქნეს.
5. დებულების მე-8 მუხლის „გ“ პუნქტი ამოღებული იქნეს.
6. დებულების მე-10 და მე-11 მუხლები ამოღებული იქნეს.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა